<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ

მუხლი 1. კანონის მიზანი და ამოცანები

1. ამ კანონის მიზანია შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლების შექმნა ისეთი საქმიანობის ან/და ქმედებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანისა და შინაური ბინადარი ცხოველისათვის უსაფრთხო საარსებო გარემოს შექმნას.

2. ამ კანონის ამოცანებია:

ა) შინაური ბინადარი ცხოველისა და ადამიანის დაცვა სხვა შინაური ბინადარი ცხოველისგან მომდინარე საფრთხეებისგან;

ბ) შინაურ ბინადარ ცხოველთა დაცვა არასათანადო და სასტიკი მოპყრობისაგან;

გ) შინაურ ბინადარ ცხოველთა მოვლა-პატრონობისა და პოპულაციების მართვის ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების დანერგვა.

მუხლი 2. კანონის რეგულირების სფერო

1. კანონის რეგულირების სფეროს განეკუთვნება:

ა) შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა;

ბ) შინაურ ბინადარ ცხოველთა მიკვლევადობის უზრუნველყოფა;

გ) შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში უფლებამოსილი ორგანოების კომპეტენციების განსაზღვრა;

დ) შინაურ ბინადარ ცხოველთა მეპატრონისა და მიმკედლებლის ვალდებულებების განსაზღვრა;

ე) შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტებისათვის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა;

ვ) შინაური ბინადარი ცხოველების პოპულაციების მართვა;

2. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ფერმერულ და გარეულ ცხოველებზე.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის, ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) შინაური ბინადარი ცხოველი (შემდგომში ცხოველი) – პატრონიანი, მიკედლებული, უპატრონო, უმეთვალყურეო ძაღლი ან კატა, რომელიც გამოიყენება სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ან/და ფუნქციური დანიშნულებით;

ბ) შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე (შემდგომში მეპატრონე) - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც საკუთრებაში ჰყავს შინაური ბინადარი ცხოველი და უზრუნველყოფს მის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას, სტერილიზაცია/კასტრაციას, მოვლა-პატრონობას, მათ შორის, ვეტერინარულ მომსახურებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) პატრონიანი შინაური ბინადარი ცხოველი - ცხოველი, რომელსაც ჰყავს ამ კანონით განსაზღვრული რეგისტრირებული მეპატრონე;

დ) უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველი - ცხოველი, რომელსაც არ ჰყავს ამ კანონით განსაზღვრული მეპატრონე ან მიმკედლებელი;

ე) მიკედლებული შინაური ბინადარი ცხოველი - გარკვეულ ტერიტორიაზე თავისუფლად ბინადარი ცხოველი, რომლის მეთვალყურეობას უზრუნველყოფს მიმკედლებელი;

ვ) უმეთვალყურეო შინაური ბინადარი ცხოველი - ცხოველი, რომელსაც დროის კონკრეტულ მონაკვეთში არ უდგინდება მეპატრონე ან მიმკედლებელი;

ზ) შინაური ბინადარი ცხოველის მიმკედლებელი (შემდგომში მიმკედლებელი) – გარკვეულ ტერიტორიაზე თავისუფლად ბინადარი ძაღლის ან კატის მეთვალყურე ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილ ორგანოში შინაური ბინადარი ცხოველის რეგისტრაციის საფუძველზე ახორციელებს მის კვება-დაწყურვებას და უფლებამოსილია უზრუნველყოს ის ვეტერინარული მომსახურებით;

თ) შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობა - ცხოველის მოვლა-პატრონობისათვის საჭირო პირობების შექმნა, რომელიც მოიცავს ცხოველის საკვებისა და წყლის ხელმისაწვდომობას, დაავადებისაგან, ტკივილისა და ტანჯვისაგან მის დაცვას;

ი) შინაური ბინადარი ცხოველის მოვლა-პატრონობა – შინაური ბინადარი ცხოველისთვის აუცილებელი საარსებო გარემოს შექმნა შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით, მისი კვება-დაწყურვება, რეგულარული გასეირნება, სოციალიზაცია, ვეტერინარული მომსახურების უზრუნველყოფა, დაავადებების პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა, ცოფისა და სხვა დაავადებების საწინააღმდეგო დროული ვაქცინაცია, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ცხოველთა კეთილდღეობისათვის აუცილებელი სხვა პირობების უზრუნველყოფა;

კ) კინოლოგიური დაწესებულება - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული პირი, რომელიც ახორციელებს საკონსულტაციო/საგანმანათლებლო მომსახურებას, მათ შორის, ძაღლის მოშენების, წვრთნის, სოციალიზაციის, ქცევის კორექციისა და მოვლა-პატრონობის მიმართულებით, ასევე, უზრუნველყოფს ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მომსახურებას შინაურ ბინადარ ცხოველთა (ძაღლის) მართვის სფეროში;

ლ) ფელინოლოგიური დაწესებულება - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული პირი, რომელიც ახორციელებს საკონსულტაციო/საგანმანათლებლო მომსახურებას, მათ შორის, კატის მოშენების, სოციალიზაციის, ქცევის კორექციის და მოვლა-პატრონობის მიმართულებით, ასევე, უზრუნველყოფს ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მომსახურებას შინაურ ბინადარ ცხოველთა (კატის) მართვის სფეროში;

მ) ვეტერინარული დაწესებულება - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული პირი, რომელიც ახორციელებს ვეტერინარულ მომსახურებას;

ნ) შინაური ბინადარი ცხოველის ევთანაზია - მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, უფლებამოსილი პირის (ვეტერინარის ან ვეტერინარი ტექნიკოსის) მიერ შინაური ბინადარი ცხოველისათვის სიცოცხლის შეწყვეტა ჰუმანურად, მყისიერად და უმტკივნეულოდ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებებითა ან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებებით;

ო) შინაური ბინადარი ცხოველის იდენტიფიკაცია - შინაური ბინადარი ცხოველის ნიშანდება მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მიკროჩიპით, საყურე ნიშნით (საჭდე) ან კატის შემთხვევაში, ასევე, ვეტერინარული წესებით დასაშვები სხვა მეთოდით;

პ) შინაური ბინადარი ცხოველის რეგისტრაცია – მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ იდენტიფიცირებული შინაური ბინადარი ცხოველის შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ერთიან ბაზაში შეტანა, ასევე, სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანა;

ჟ) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო - მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი იურიდიული პირი;

რ) სააგენტო - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო;

ს) მარეგისტრირებელი ორგანო - მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო, ვეტერინარული დაწესებულება, შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარი და საშენი;

ტ) საბელი - საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს შინაური ბინადარი ცხოველის გადაადგილების კონტროლს;

უ) ალიკაპი - მოწყობილობა, რომელიც ძაღლს უმაგრდება დრუნჩზე, ან თავზე და განკუთვნილია სხვა ცხოველისა და ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

ფ) შინაური ბინადარი ცხოველის გადამეტებული აგრესია - შინაური ბინადარი ცხოველის ისეთი ქცევითი დისბალანსი, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვა ცხოველის ან/და ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და შეუძლებელს ხდის მის შემდგომ ინტეგრაციას;

ქ) შინაურ ბინადარ ცხოველთა გასეირნება - შინაური ბინადარი ცხოველის გადაადგილება ღია სივრცეებში ან სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი მეთვალყურეობით;

ღ) შინაურ ბინადარ ცხოველთა მოშენება - შინაური ბინადარი ცხოველების მიზნობრივი და გეგმაზომიერი გამრავლება;

ყ) შინაურ ბინადარ ცხოველთა პოპულაციის მართვა - შინაურ ბინადარ ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და გამრავლების უნარის შეწყვეტა სტერილიზაცია/კასტრაციის გზით;

შ) შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარი (შემდგომში თავშესაფარი) - მუნიციპალური თავშესაფარი ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული კერძო თავშესაფარი;

ჩ) შინაურ ბინადარ ცხოველთა დროებითი მოთავსების ობიექტი (სასტუმრო) - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული პირი, რომელიც მომსახურებას უწევს მეპატრონეს, მიბარებული შინაური ბინადარი ცხოველის დროებითი განთავსებისა და მოვლა-პატრონობის სახით;

ც) დეჰელმინთიზაცია - ცხოველის ორგანიზმიდან პარაზიტების გამოდევნა;

ძ) ვაქცინაცია - დაავადებების საწინააღმდეგო ანტიგენის/ანტიგენების ცხოველის ორგანიზმში შეყვანა დაავადებების მიმართ იმუნიტეტის (ორგანიზმის დამცველობითი უნარის) ჩამოსაყალიბებლად;

წ) კასტრაცია - ხვადი შინაური ბინადარი ცხოველისათვის გამრავლების უნარის შეწყვეტა;

ჭ) სტერილიზაცია - ძუ შინაური ბინადარი ცხოველისათვის გამრავლების უნარის შეწყვეტა;

ხ) ცხოველთა ორთაბრძოლა - ცხოველის შებრძოლება თავისივე ან სხვა სახეობის ცხოველთან, შეჯიბრების ან სხვა მიზნით;

ჯ) ვეტერინარული პასპორტი - შინაური ბინადარი ცხოველის საინფორმაციო ფურცელი, რომელშიც ვეტერინარის ან ვეტერინარი ტექნიკოსის მიერ შესაძლებელია შეტანილ იქნეს ჩანაწერები ყოველწლიური ვაქცინაციის, სტერილიზაცია/კასტრაციის, ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებისა (მათ შორის, ალერგიული რეაქცია, ჯანმრთელობის კონდიცია, წონა) და ანტიპარაზიტული საშუალებების გამოყენების შესახებ, ასევე, ინფორმაცია მეპატრონის შესახებ (საიდენტიფიკაციო მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია);

ჰ) მიკროჩიპი - წაკითხვადი პასიური რადიოსიხშირული იდენტიფიკაციის საშუალება, სპეციალური ინფორმაციის მატარებელი იმპლანტი, რომლის საშუალებით მონაცემთა ერთიან ბაზაში ასახულ იქნება ინფორმაცია შინაური ბინადარი ცხოველისა და მისი მეპატრონის შესახებ;

ჰ[1]) საყურე ნიშანი (საჭდე) - იდენტიფიკაციის საშუალება, რომელიც შეიცავს საიდენტიფიკაციო ნომერს და იძლევა მონაცემთა ერთიან ბაზაში შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ ინფორმაციის ასახვის შესაძლებლობას;

ჰ[2]) შინაურ ბინადარ ცხოველთა საშენი (შემდგომში საშენი) - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული პირი, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით ახორციელებს შინაურ ბინადარ ცხოველთა მიზნობრივ და გეგმაზომიერ მოშენებას;

ჰ[3]) შინაურ ბინადარ ცხოველთა რეალიზატორი (შემდგომში რეალიზატორი) - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული პირი, რომელიც ახორციელებს შინაური ბინადარი ცხოველის გაყიდვას;

3[4]) პოტენციურად მომეტებული რისკის ძაღლი - ძაღლი, რომელმაც თავისი ფიზიკური მახასიათებლიდან გამომდინარე (მათ შორის, ზომა, წონა) ან/და არასათანადო წვრთნისა და ქცევის შესწავლის საფუძველზე მომეტებული საფრთხე შეიძლება შეუქმნას სხვა ცხოველის ან/და ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას;

3[5]) მორატორიუმი ცხოველის დროებით შემოყვანასა და იმპორტზე, ან/და მოშენებაზე - პოტენციურად მომეტებული რისკის ძაღლის, ასევე სხვა ცხოველის ჰიპერპოპულაციის მართვის მიზნით, საქართველოს მთავრობის უფლებამოსილება აკრძალოს ამგვარი ცხოველის დროებით შემოყვანა და იმპორტი ან/და მოშენება;

3[6]) შინაური ბინადარი ცხოველების შემგროვებლობა - ფიზიკური პირის მიერ შინაური ბინადარი ცხოველების შეგროვება და ამასთან, მოვლა-პატრონობის წესების (საკვების, სანიტარიული პირობების, ვეტერინარული მომსახურების, გასეირნების) დაცვის უუნარობა, ცხოველის მდგომარეობის (წონის კლება, ავადმყოფობა და ა.შ) ან/და ცხოველის საარსებო გარემოს მნიშვნელოვანი გაუარესების მიუხედავად;

3[7]) კინოლოგი - ფიზიკური პირი, რომელიც ფლობს შესაბამის უნარებსა და ცოდნას ძაღლის მოშენების, წვრთნის, სოციალიზაციისა და ქცევის კორექციის მიმართულებით;

3[8]) ფელინოლოგი - ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საკონსულტაციო მომსახურებას კატის მოვლა-პატრონობის, მოშენების, სოციალიზაციისა და ქცევის კორექციის მიმართულებით;

3[9]) სანაშენე ცხოველი - ცხოველი, რომლის ჯანმრთელობა, ჯიშიანობა და მოშენებაზე ვარგისიანობა დადასტურებულია ამ კანონით დადგენილი წესით და რომელიც განკუთვნილია მიზნობრივი და გეგმაზომიერი მოშენებისთვის;

3[10]) სასამსახურო ძაღლი – სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლი, რომლის მეპატრონეა საჯარო დაწესებულება და გამოიყენება დაცვის, საძიებო-სამაშველო სამუშაოების, ~~მოძიების,~~ დივერსიული ფაქტების აღმოფხვრის მიზნით, ასევე, ძაღლი, რომლის დანიშნულებაა მართლწესრიგის მასობრივი დარღვევის აღკვეთა, დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის დევნა, ~~და~~ დაკავება და იდენტიფიცირება, დაკავებულის ან დაპატიმრებულის ბადრაგირება, პირზე ან/და პოლიციელზე/სამხედრო პოლიციის თანამშრომელზე თავდასხმის მოგერიება, აკრძალული ნივთების აღმოჩენა, თავდასხმის მოგერიება;

3[11]) ასისტენტი ძაღლი - ძაღლი, რომლის მეპატრონედ მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულია უსინათლო ან მხედველობადაქვეითებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი;

მუხლი 4. ცხოველთა კეთილდღეობის პრინციპები

1. ცხოველთა კეთილდღეობის პრინციპებია:

ა) თავისუფალი წვდომა წყალსა და საკვებზე;

ბ) უსაფრთხო და სათანადო საარსებო პირობები;

გ) დაავადებათა პრევენცია და მკურნალობა.

2. ცხოველთა კეთილდღეობის პრინციპების დაცვა სავალდებულოა როგორც ამ კანონით დადგენილი პროცედურების, ასევე ცხოველთა მართვის სფეროში საქველმოქმედო, საგანმანათლებლო და სხვა საქმიანობის განხორციელებისას.

3. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაუშვებელია:

ა) ცხოველის მიტოვება, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) ცხოველის ევთანაზია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) ცხოველის გადაცემა ჯილდოს, პრიზის ან პრემიის სახით;

დ) ცხოველის საკვებად გამოყენება ან/და მისგან პრეპარატებისა და ქიმიური საშუალებების დამზადება;

ე) ავტოსაგზაო შემთხვევისას ცხოველის დაზიანების/დაღუპვის შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი ორგანოსთვის შეუტყობინებლობა;

ვ) ცხოველთა შემგროვებლობა;

ზ) ძაღლის საბრძოლო მიზნებისთვის წვრთნა, გარდა სასამსახურო ძაღლისა.

მუხლი 5. ცხოველთა მიტოვების აკრძალვა

1. აკრძალულია ცხოველის მიტოვება გარდა ამ კანონით გათვალისწინებული ცხოველის სათანადო მოვლა-პატრონობის ან/და მეპატრონისა და ცხოველის თანაარსებობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების არსებობის შემთხვევებისა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მეპატრონე ვალდებულია გონივრულ ვადაში მოუძიოს ცხოველს ახალი მეპატრონე ან ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, გადაიყვანოს თავშესაფარში ამ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების შესასრულებლად.

3. მეპატრონის მიერ ცხოველისათვის ახალი მეპატრონის მოძიების შემთხვევაში, სავალდებულოა ახალი მეპატრონის რეგისტრაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში.

მუხლი 6. ცხოველთა მართვის სფეროში უფლებამოსილი ორგანოები

1. ცხოველთა მართვის სფეროში უფლებამოსილი ორგანოებია: მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო და სააგენტო.

2. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს:

ა) მეპატრონის ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობას;

ბ) მიმკედლებლის ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობას;

გ) საშენის რეგისტრაციას;

დ) უპატრონო/მიკედლებული ცხოველების პოპულაციების მართვას, მათ შორის, იდენტიფიკაცია-რეგისტრაციასა და სტერილიზაცია/კასტრაციას, ასევე, ანტირაბიულ ვაქცინაციას;

ე) მიკედლებული ცხოველის დაჭერის შესახებ ინფორმაციის მიმკედლებლისათვის შეტყობინებას;

ვ) უპატრონო/მიკედლებული ცხოველის ლეშის განკარგვას;

ზ) ცხოველთა მართვის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების მიერ ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვაზე გეგმიურ და არაგეგმიურ მონიტორინგს.

3. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო უპატრონო/მიკედლებულ ცხოველთა დროებით განთავსების, მოვლა-პატრონობის, პოპულაციის მართვის, მათ შორის, იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და სტერილიზაცია/კასტრაციის, ასევე, ანტირაბიული ვაქცინაციის უზრუნველსაყოფად, დამოუკიდებლად ან სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად ქმნის მუნიციპალურ თავშესაფარს ან აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებს მის მიერ უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

4. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია უპატრონო/მიკედლებული ცხოველების პოპულაციის მართვა განახორციელოს ამ კანონის მე-18 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. სააგენტო ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს:

ა) ცხოველის მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის მონაცემთა ერთიანი ბაზის მართვას~~ა~~;

ბ) ცხოველთა მართვის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების მიერ ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლს;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა ფუნქციებს.

6. სააგენტო უფლებამოსილია, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ცხოველთა ჰიპერპოპულაციის მართვის დროებითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, უზრუნველყოს ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, სტერილიზაცია/კასტრაცია და ანტირაბიული ვაქცინაცია.

7. საბაჟო საზღვარზე ცხოველთა გადაადგილებისას ვეტერინარულ სასაზღვრო კონტროლს ახორციელებს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

მუხლი 7. ცხოველის მეპატრონე

1. ცხოველთა კეთილდღეობის, მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის მართვის ვალდებულებების ფარგლებში, მეპატრონე ცხოველის სახეობისა და ჯიშის თავისებურებების გათვალისწინებით ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია ამ კანონის მე-16 მუხლით დადგენილი წესით;

ბ) ცხოველის გასეირნება, მგზავრობა და ღონისძიებებში გამოყენება ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების წესების დაცვით;

გ) ვეტერინარული შემოწმება, კომპლექსური ვაქცინაცია, დეჰელმინთიზაცია და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება;

დ) ანტირაბიული ვაქცინაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) ცხოველის გამრავლების უნარის შეწყვეტა სტერილიზაცია/კასტრაციის გზით ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ) სამედიცინო ჩვენების საფუძველზე სტერილიზაციის/კასტრაციის მეთოდის გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში, გამრავლების უნარის შეწყვეტა ცხოველისთვის სხვა უვნებელი, ვეტერინარული წესებით დასაშვები მეთოდით;

ზ) ცხოველის დაუყოვნებლივ გადაყვანა ვეტერინარულ დაწესებულებაში მისი ავადობის შემთხვევაში;

თ) ცხოველის დაკარგვის/დაღუპვის შესახებ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოსთვის შეტყობინება;

ი) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს/სააგენტოს ინფორმირება, ცხოველის მიერ სხვა ცხოველის ან/და ადამიანის დაკბენის/დაკაწვრის/დადორბვლის ფაქტის შესახებ, თუ არსებობს ეჭვი ცოფზე ან ცხოველისაგან ადამიანზე გადამდები სხვა საშიში დაავადებით დაინფიცირება/დაავადებაზე.

კ) ცხოველის მიერ სხვა ცხოველის ან/და ადამიანის დაკბენის/დაკაწვრის/დადორბვლის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მასზე ვეტერინარული ზედამხედველობის დაწესება, იზოლირებულად მეპატრონის ფაქტობრივ საცხოვრებელ მისამართზე ან თავშესაფარში;

ლ) საზოგადოებრივი სივრცის მყისიერი დასუფთავება ცხოველის მიერ ასეთი სივრცის დაბინძურების შემთხვევაში;

მ) ცხოველის მიერ სხვა პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ნ) ცხოველის ლეშის განკარგვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. მეპატრონე უფლებამოსილია ვეტერინარულ დაწესებულებას მიმართოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის ცხოველის ვეტერინარულ პასპორტში შეტანის თაობაზე.

3. მონაცემთა ერთიან ბაზაში ფიზიკური პირი მეპატრონედ შეიძლება დარეგისტრირდეს მხოლოდ 16 წელს მიღწეული და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლით ნასამართლეობის არმქონე პირი.

4. გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, პოტენციურად მომეტებული რისკის ძაღლის მეპატრონედ რეგისტრაციისთვის სავალდებულოა ფსიქიკური მდგომაროების შესახებ აღრიცხვაზე არყოფნის შესახებ ცნობის წარდგენა.

5. მეპატრონის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი მემკვიდრე (მემკვიდრეები) ვალდებულია დარეგისტრირდეს ცხოველის მეპატრონედ მონაცემთა ერთიან ბაზაში, ხოლო თუ მემკვიდრე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უარს აცხადებს სამკვიდროზე, უზრუნველყოს ცხოველისთვის ახალი მეპატრონის მოძიება ან ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი თავშესაფარში გადაყვანა.

მუხლი 8. ცხოველის მიკედლება

1. ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს უზრუნველყოს უპატრონო ცხოველის მიკედლება.

2. მიკედლების საფუძველია მიმკედლებლის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია, ხოლო, მიკედლება წყდება მიმკედლებლის განცხადების ან ამ კანონით დადგენილი ვალდებულების დარღვევის საფუძველზე.

3. ცხოველის მიკედლება დასაშვებია მხოლოდ სტერილიზაცია/კასტრაციის შემდეგ.

4. დაუშვებელია ცხოველის მიკედლება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ზოგადსაგანმანათლებლო, სამედიცინო დაწესებულების, მეტროპოლიტენის შენობაში, საბავშვო და სპორტულ მოედნებზე.

5. მიმკედლებელს უფლება აქვს უზრუნველყოს მიკედლებული ცხოველის:

ა) ვეტერინარული მომსახურება;

ბ) დაავადებათა პროფილაქტიკა და დიაგნოსტიკა;

გ) დაავადებათა საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

6. ცხოველის კეთილდღეობის პრინციპების გათვალისწინებით მიმკედლებელი ვალდებულია:

ა) მიმკედლებლად მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის უზრუნველყოფის მიზნით მიმართოს მარეგისტრირებელ ორგანოს;

ბ) უზრუნველყოს მიკედლებული ცხოველის კვება/დაწყურვება;

გ) უზრუნველყოს მიკედლებული ცხოველის ანტირაბიული ვაქცინაცია, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, მიმართოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს;

დ) მიაწოდოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს, თუ მიკედლებულ ცხოველს გამოუვლინდა სხვა ცხოველისათვის ან/და ადამიანისათვის საშიში დაავადება ან ასეთი დაავადების საეჭვო ნიშნები;

ე) ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოსა და სააგენტოს მიერ მიკედლებულ ცხოველთან დაკავშირებით ამ კანონით დადგენილი უფლებამოსილებების შეუფერხებლად განხორციელებას, მათ შორის, მიაწოდოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია ცხოველის მდგომარეობის შესახებ;

ვ) მიაწოდოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს მიკედლებაზე საკუთარი სურვილით უარის თქმის შემთხვევაში და მიმკედლებლის სტატუსის მოხსნამდე განაგრძოს ცხოველზე მეთვალყურეობა;

ზ) მიკედლებაზე საკუთარი სურვილით უარის თქმის შემთხვევაში მიმართოს მარეგისტრირებელ ორგანოს რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით;

თ) მიაწოდოს ინფორმაცია მარეგისტრირებელ ორგანოს მიკედლებული ცხოველის დაღუპვის შემთხვევაში მონაცემთა ერთიან ბაზაში მიმკედლებლად რეგისტრაციის გაუქმების მიზნით.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიკედლებული ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო მის სისტემაში შემავალი მუნიციპალური თავშესაფრის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

მუხლი 9. ცხოველთა მართვის სფეროში მონაწილე სუბიექტები

1. ცხოველთა მართვის სფეროში მონაწილე სუბიექტები ექვემდებარებიან სახელმწიფო კონტროლს ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და იქმნებიან შემდეგი მიზნებისათვის:

ა) ვეტერინარული დაწესებულება - პირი, რომელიც ახორციელებს ცხოველის ვეტერინარულ მომსახურებას, მათ შორის, ცხოველის იდენტიფიკაცია/რეგისტრაციას, სტერილიზაცია/კასტრაციას, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის დაავადებათა პროფილაქტიკასა და მკურნალობას, ზოონოზური დაავადებებისაგან დაცვასა (მათ შორის, ანტირაბიულ ვაქცინაციას) და ქვეყანაში ვეტერინარული კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფას;

ბ) თავშესაფარი - პირი, რომელიც უზრუნველყოფს ცხოველის დროებით მოვლა-პატრონობას, იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას, სტერილიზაცია/კასტრაციას, ვაქცინაციას ან/და უპატრონო ცხოველისთვის მეპატრონის/მიმკედლებლის მოძიებას;

გ) დროებითი მოთავსების ობიექტი (სასტუმრო) - პირი, რომელიც უზრუნველყოფს მეპატრონის მიერ მიბარებული ცხოველის დროებით განთავსებასა და მოვლა-პატრონობას;

დ) საშენი - პირი, რომელიც ახორციელებს ცხოველის მიზნობრივ და გეგმაზომიერ მოშენებას, ასევე, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას, სანაშენე წიგნის (დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია ცხოველის წინაპრებზე) წარმოებას, სანაშენე ძაღლების და მიღებული ნაყარის დოკუმენტურ აღრიცხვას;

ე) კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულება - პირი, რომელიც ახორციელებს საკონსულტაციო/საგანმანათლებლო მომსახურებას, მათ შორის, მოშენების, წვრთნის, სოციალიზაციის, ქცევის კორექციისა და მოვლა-პატრონობის მიმართულებით;

ვ) რეალიზატორი - პირი, რომელიც ახორციელებს ცხოველის მოვლა-პატრონობას, ყიდვა-გაყიდვას, ასევე, უზრუნველყოფს ცოფისა და სხვა საშიში დაავადებების საწინააღმდეგო დროულ ვაქცინაციას და სხვა სახის ვეტერინარულ მომსახურებას;

ზ) ცხოველთა მოვლისა და ჰიგიენური მომსახურების (გრუმინგი) ობიექტი - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული პირი, რომელიც ახორციელებს ცხოველის ჰიგიენური და გარეგნული მდგომარეობის შენარჩუნება/გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ მომსახურებას.

2. ცხოველთა მოვლისა და ჰიგიენური მომსახურების (გრუმინგი) ობიექტი:

ა) ვალდებულია ცხოველის მიღებისთანავე გადაამოწმოს მისი იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია;

ბ) არ არის უფლებამოსილი მომსახურება გაუწიოს ცხოველს, რომელიც არ არის რეგისტრირებული მონაცემთა ერთიან ბაზაში.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სუბიექტები, ცხოველთა კეთილდღეობის დაცვის უზრუნველსაყოფად, ვალდებულნი არიან, დაიცვან, მათ შორის, ცხოველთა მოვლა-პატრონობის ზოგადი მოთხოვნები:

ა) სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა;

ბ) უსაფრთხოების წესების დაცვა;

გ) ცხოველის დაწყურვება და საჭიროების შემთხვევაში, ასევე, კვება;

დ) ცხოველის განსათავსებელი სივრცის სათანადო ინსოლაცია/განათება, დათბუნება და ვენტილაცია;

ე) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს ან/და სააგენტოს მიმართვის საფუძველზე მოთხოვნილი ინფორმაციის წარდგენა;

ვ) ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების დაცვა.

მუხლი 10. ცხოველთა ვეტერინარული მომსახურება

1. ქვეყანაში ვეტერინარული კეთილსაიმედოობისა და ზოონოზური დაავადებისაგან მოსახლეობის დაცვის მიზნით, ამ კანონით განსაზღვრული სხვა პირების გარდა, დაავადებათა პროფილაქტიკასა და მკურნალობას ახორციელებს ვეტერინარული დაწესებულება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ცხოველის ვეტერინარულ მომსახურებას უზრუნველყოფს ვეტერინარი ან ვეტერინარი ტექნიკოსი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ვეტერინარული მომსახურება~~,~~ ხორციელდება ცხოველისთვის უმტკივნეულო გზით საქართველოს კანონმდებლობით- დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

4. აკრძალულია არასამკურნალო მიზნით ან ფუნქციური დანიშნულების გარეშე ცხოველებისათვის ვეტერინარული ოპერაციების ჩატარება, კერძოდ:

ა) ყურების კუპირება;

ბ) კუდის კუპირება;

გ) ეშვების ექსტრაქცია;

დ) კლანჭების ოპერაციული ამოკვეთა;

ე) სმენის დაქვეითება;

ვ) ხმის იოგების გადაჭრა.

5. ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია ცხოველის მიღებისთანავე გადაამოწმოს მისი იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში.

6. თუ ცხოველის შესახებ ინფორმაცია არ არის შეტანილი მონაცემთა ერთიან ბაზაში, ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია თავად უზრუნველყოს პატრონიანი ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია. ასეთ შემთხვევაში, ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ხარჯებს ფარავს მეპატრონე.

7. მიკედლებული/უპატრონო ცხოველის მიღების შემთხვევაში, ვეტერინარული დაწესებულება უფლებამოსილია თავად უზრუნველყოს ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, სტერილიზაცია/კასტრაცია და ანტირაბიული ვაქცინაცია, ხოლო ამ პროცედურების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს ამ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით.

8. ვეტერინარული დაწესებულება უფლებამოსილია, მომსახურება გაუწიოს არარეგისტრირებულ ცხოველს, რომელსაც ესაჭიროება გადაუდებელი ვეტერინარული მომსახურება. ასეთი მომსახურების გაწევის შემდგომ, ვალდებულია განახორციელოს ამ მუხლის მე-6 ან მე-7 პუნქტებით განსაზღვრული ღონისძიებები.

9. ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია ცხოველის სტერილიზაცია/კასტრაციის, კომპლექსური და ანტირაბიული ვაქცინაციის შესახებ ინფორმაცია შეიტანოს მონაცემთა ერთიან ბაზაში, ხოლო მეპატრონის მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე, ვეტერინარულ პასპორტში.

10. ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია შეიტანოს ინფორმაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში ამ კანონის 21-ე მუხლით დადგენილი წესით განხორციელებული ევთანაზიის შესახებ.

11. ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია ცოფის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ზოონოზური დაავადებების გამოვლენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

12. ვეტერინარული დაწესებულება უფლებამოსილია სააგენტოსთან ან მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოსთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ვეტერინარული მომსახურება გაუწიოს მიკედლებულ/უპატრონო ცხოველს.

13. ვეტერინარული დაწესებულება უფლებამოსილია გასცეს ცნობა ცხოველის ჯანმრთელობის შესახებ.

14. ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია იყოს აქტიურ კომუნიკაციასა და კოორდინაციაში შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, მათ შორის, ინფორმაციის დროული გაცვლის გზით ცოფის ან სხვა ზოონოზური დაავადებების გავრცელების თავიდან ასარიდებლად.

მუხლი 11. თავშესაფარი და მისი საქმიანობის ფარგლები

1. ამ კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია დამოუკიდებლად ან სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად შექმნას მუნიციპალური თავშესაფარი, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, სტერილიზაცია/კასტრაციის, ვაქცინაციისა და გაჩუქების უზრუნველსაყოფად.

2. ცხოველთა კეთილდღეობის დაცვის, მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის მართვის მიზნით, ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შეუძლია შექმნას კერძო თავშესაფარი.

3. თავშესაფარი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად მოაწყოს:

ა) ვოლიერები და ვეტერინარული სივრცე შესაბამისი პროცედურების ჩასატარებლად;

ბ) ვოლიერი, სადაც განთავსდება ცხოველი ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენამდე, განკურნებამდე, თავშესაფრიდან გაყვანამდე ან ევთანაზიამდე. ვოლიერი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ბ.ა) ვოლიერის სივრცე უნდა აძლევდეს ცხოველს გადაადგილებისა და საკვების მიღების საშუალებას;

ბ.ბ) ვოლიერი არ უნდა იყოს ოთხმხრივად დახურული, ცხოველს არ უნდა ეზღუდებოდეს თავისუფალი სივრცის ხედვის საშუალება და უზრუნველყოფილ იქნეს ვოლიერის სათანადო ვენტილაცია.

გ) საკარანტინო სივრცე ცხოველთა იზოლაციის უზრუნველსაყოფად;

დ) გასასეირნებელი სივრცე ცხოველთა სათანადო ფიზიკური აქტივობის უზრუნველსაყოფად.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თავშესაფრის საქმიანობა, მათ შორის, ცხოველთა პოპულაციის მართვისათვის გათვალისწინებული ღონისძიებები, რეგულირდება ამ კანონის მე-18 მუხლით.

5. კერძო თავშესაფარი ვალდებულია ცხოველის მიღებისთანავე გადაამოწმოს მისი იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის შემდეგ, ცხოველი დაუყოვნებლივ უნდა შემოწმდეს ვეტერინარის მიერ. ასეთი შემოწმების საფუძველზე, ვეტერინარის გადაწყვეტილებით, ცხოველი შესაძლოა განთავსდეს კარანტინში/იზოლაციაში.

7. თუ ცხოველის შესახებ ინფორმაცია არ არის შეტანილი მონაცემთა ერთიან ბაზაში, კერძო თავშესაფარი უფლებამოსილია თავად უზრუნველყოს ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, სტერილიზაცია/კასტრაცია და ანტირაბიული ვაქცინაცია, ხოლო ამ

პროცედურების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, კერძო თავშესაფარი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს ამ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით.

8. ცხოველის მიერ სხვა ცხოველის ან ადამიანის დაკბენის/დადორბვლის/დაკაწვრის შემთხვევაში, ცხოველი უნდა განთავსდეს კარანტინში/იზოლაციაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. იმ შემთხვევაში, როდესაც კერძო თავშესაფარი მომსახურებას უწევს ცხოველს, რომელსაც ესაჭიროება გადაუდებელი ვეტერინარული მომსახურება, კერძო თავშესაფარი ვალდებულია მხოლოდ ასეთი მომსახურების გაწევის შემდგომ უზრუნველყოს ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია ამ კანონის მე-16 მუხლით დადგენილი წესით.

10. კერძო თავშესაფარი უფლებამოსილია იდენტიფიცირებულ-რეგისტრირებულ, სტერილიზებულ/კასტრირებულ და ვაქცინირებულ (ანტირაბიული ვაქცინაცია) ცხოველს მოუძიოს მეპატრონე/მიმკედლებელი და განაახლოს ინფორმაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში.

11. კერძო თავშესაფარი უფლებამოსილია შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მომსახურება გაუწიოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს, მათ შორის, ცხოველთა პოპულაციის მართვასა და დროებით შეფარებაში.

12. კერძო თავშესაფარში აკრძალულია მოეწყოს საშენი.

13. კერძო თავშესაფარი ვალდებულია იყოს აქტიურ კომუნიკაციასა და კოორდინაციაში შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, მათ შორის, ცოფის ან სხვა ზოონოზური დაავადებების გავრცელების თავიდან ასარიდებლად.

მუხლი 12. დროებითი მოთავსების ობიექტი (სასტუმრო)

1. ცხოველთა კეთილდღეობის დაცვის მიზნით, ცხოველთა დროებით განთავსებასა და მოვლა-პატრონობას უზრუნველყოფს დროებითი მოთავსების ობიექტი (სასტუმრო) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ცხოველთა დროებითი მოთავსების ობიექტი (სასტუმრო) ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა;

ბ) ცხოველის კვება-დაწყურვება;

გ) ცხოველის განსათავსებელი სივრცის სათანადო ინსოლაცია/განათება, დათბუნება და ვენტილაცია;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების დაცვა.

3. დროებითი მოთავსების ობიექტი (სასტუმრო) ვალდებულია ცხოველის მიღებისთანავე გადაამოწმოს მისი იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში. არ აქვს უფლება მომსახურება გაუწიოს ცხოველს, რომელიც არ არის რეგისტრირებული მონაცემთა ერთიან ბაზაში.

4. თუ დროებითი მოთავსების ობიექტი (სასტუმრო) მიიღებს უმეთვალყურეო ძაღლს, რომელსაც 2 თვის ვადაში არ გამოუჩნდება მეპატრონე/მიმკედლებელი, იგი ვალდებულია გააჩუქოს ცხოველი, ან ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, მიმართოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს ამ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით.

5. ცხოველთა დროებითი მოთავსების ობიექტის (სასტუმრო) მოწყობა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინაში დასაშვებია ბინათმესაკუთრეთა უმრავლესობის თანხმობის საფუძველზე.

6. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინაში არსებულ ცხოველთა დროებითი მოთავსების ობიექტში (სასტუმრო) არ შეიძლება ერთდროულად განთავსდეს 15-ზე მეტი ცხოველი.

მუხლი 13. საშენი და მისი საქმიანობის ფარგლები

1. ცხოველთა კეთილდღეობის დაცვისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფის მიზნით, ცხოველის მიზნობრივ და გეგმაზომიერ მოშენებას ახორციელებს საშენი.

2. საშენი ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოში, ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის მოქმედების ვადაა სამი წელი. რეგისტრაციის საფასურს ადგენს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო.

4. საშენის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა განთავსდეს მომხმარებლისათვის თვალსაჩინო ადგილას.

5. სანაშენე ცხოველის მიზნობრივი და გეგმაზომიერი მოშენების უზრუნველყოფის მიზნით, საშენი ვალდებულია:

ა) ჰყავდეს კინოლოგი/ფელინოლოგი;

ბ) დაიცვას ამ კანონის მე-17 მუხლით დადგენილი ცხოველის მოშენებასთან დაკავშირებული მოთხოვნები;

გ) დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები;

დ) უზრუნველყოს ცხოველის კვება-დაწყურვება;

ე) მოაწყოს ცხოველის განსათავსებელი ღია და დახურული სივრცე, უზრუნველყოს მისი სათანადო ინსოლაცია/განათება, დათბუნება და ვენტილაცია;

ვ) მოაწყოს შესაბამისი სივრცე ნაყარის მიღების შემთხვევაში;

ზ) უზრუნველყოს სანაშენე ცხოველის და მიღებული ნაყარის დოკუმენტური აღრიცხვის წარმოება;

თ) უზრუნველყოს სანაშენე წიგნის (დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია ცხოველის წინაპრებზე) წარმოება;

ი) უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს ან/და სააგენტოს მიმართვის საფუძველზე მოთხოვნილი ინფორმაციის წარდგენა;

კ) უზრუნველყოს ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების დაცვა.

6. საშენი ვალდებულია უზრუნველყოს მიღებული ნაყარის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია ამ კანონის მე-16 მუხლით დადგენილი წესით.

7. საშენი უფლებამოსილია განახორციელოს ამ კანონის მე-15 მუხლით განსაზღვრული სარეალიზაციო საქმიანობა.

8. საშენი ვალდებულია იყოს აქტიურ კომუნიკაციასა და კოორდინაციაში შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, მათ შორის, სანაშენე ცხოველის მიზნობრივი და გეგმაზომიერი მოშენების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 14. კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულება და მისი საქმიანობის ფარგლები

1. ცხოველთა კეთილდღეობის დაცვისა და მოვლა-პატრონობის მიზნით, ცხოველთა მართვის სფეროში საკონსულტაციო მომსახურებას, ცხოველის წვრთნას, სოციალიზაციასა და ქცევის კორექციას, სანაშენე წიგნის (დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია ცხოველის წინაპრებზე) წარმოებას, ჯიშიანობისა და მოშენებაზე ვარგისიანობის ცნობის გაცემას, გამოფენის ორგანიზება-ჩატარებასა და სხვა სახის მომსახურებას უზრუნველყოფს კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. კინოლოგიური და ფელინოლოგიური დაწესებულება ვალდებულია ჰყავდეს კინოლოგი ან ფელინოლოგი.

3. კინოლოგიური და ფელინოლოგიური დაწესებულება ვალდებულია ცხოველის მიღებისთანავე გადაამოწმოს მისი იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია.

4. კინოლოგიური და ფელინოლოგიური დაწესებულება არ არის უფლებამოსილი მომსახურება გაუწიოს ცხოველს, რომელიც არ არის რეგისტრირებული მონაცემთა ერთიან ბაზაში.

5. ცხოველთა კეთილდღეობის დაცვის მიზნით, კინოლოგიური და ფელინოლოგიური დაწესებულება უზრუნველყოფს:

ა) ცხოველის სანაშენე წიგნის (დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია ცხოველის წინაპრებზე) წარმოებას;

ბ) ჯიშიანობისა და მოშენებაზე ვარგისიანობის ცნობის გაცემას;

გ) სხვადასხვა ჯიშის ცხოველის ფიზიკური მახასიათებლებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით დატვირთვას, საერთაშორისოდ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;

დ) ცხოველის მოვლა-პატრონობის, მოშენების, კვების, სელექციის, ფიზიოლოგიური თავისებურებებისა და ქცევის შესწავლასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებას;

ე) ცხოველის წვრთნას (ინდივიდუალური და სპორტული წვრთნა) შესაბამის საწვრთნელ სივრცეში, სოციალიზაციას, ქცევის კორექციას;

ვ) ცხოველის მდგომარეობის შეფასებასა და გადამეტებული აგრესიის დადგენას;

ზ) ცხოველის გამოფენების ორგანიზება-ჩატარებას;

თ) სასწავლო კურსებისა და მოდულების ორგანიზება-ჩატარებას.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ცნობად არ ჩაითვლება დოკუმენტი, რომელშიც არ არის ინფორმაცია ცხოველის წინაპრებზე.

7. კინოლოგიურ და ფელინოლოგიურ დაწესებულებას შეუძლია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოში რეგისტრაციის გავლის შემთხვევაში, თავის ტერიტორიაზე მოაწყოს საშენი ამ კანონის მე-13 მუხლით დადგენილი წესით.

8. კინოლოგიური და ფელინოლოგიური დაწესებულება ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით, ვალდებულია იყოს აქტიურ კომუნიკაციასა და კოორდინაციაში შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, მათ შორის, ინფორმაციის დროული გაცვლის გზით.

9. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება სასამსახურო ძაღლის მომსახურებაზე.

მუხლი 15. რეალიზატორი და მისი საქმიანობის ფარგლები

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ცხოველთა კეთილდღეობის დაცვისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად ცხოველის გაყიდვას ახორციელებს რეალიზატორი.

2. რეალიზატორი ვალდებულია მარეგისტრირებელი ორგანოსათვის მიმართვის გზით უზრუნველყოს ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია ამ კანონის მე-16 მუხლით დადგენილი წესით.

3. რეალიზატორი ვალდებულია ცხოველის მიღებისთანავე გადაამოწმოს მისი იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია.

4. რეალიზატორი არ არის უფლებამოსილი ჰყავდეს ცხოველი, რომელიც არ არის რეგისტრირებული მონაცემთა ერთიან ბაზაში.

5. ცხოველთა კეთილდღეობის დაცვისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფის მიზნით, რეალიზატორი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ცხოველთა კვება-დაწყურვება;

ბ) უზრუნველყოს ცხოველის განსათავსებელი სივრცის გამოყოფა, სათანადო ინსოლაცია/განათება, დათბუნება და ვენტილაცია;

გ) უზრუნველყოს ცხოველის რეგულარული გასეირნება;

დ) უზრუნველყოს ცხოველი ვეტერინარული მომსახურებით, მათ შორის, ცოფისა და სხვა საშიში დაავადებების საწინააღმდეგო დროული ვაქცინაციით;

ე) უზრუნველყოს სარეალიზაციო ობიექტის ტერიტორიაზე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა;

ვ) სარეალიზაციო ობიექტის ტერიტორიაზე არ დაუშვას არავაქცინირებული (ანტირაბიული ვაქცინაცია) ან/და საშიში (მათ შორის, ზოონოზური) დაავადების მქონე ცხოველი;

ზ) არ დაუშვას ორი თვის ასაკამდე ლეკვისა და ოთხი თვის ასაკამდე კნუტის დედისგან დაშორება გაყიდვის მიზნით;

თ) უზრუნველყოს სარეალიზაციო ობიექტზე ცხოველის შემოყვანისა და გაყიდვის აღრიცხვა.

6. რეალიზატორი ვალდებულია იყოს აქტიურ კომუნიკაციასა და კოორდინაციაში შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, მათ შორის, ინფორმაციის დროული გაცვლის გზით ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 16. ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია

1. ცხოველთა კეთილდღეობის დაცვისა და მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით, მარეგისტრირებელი ორგანო ახორციელებს ცხოველის იდენტიფიკაციასა და რეგისტრაციას მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელსაც მართავს სააგენტო.

2. მონაცემთა ერთიანი ბაზის მიზანია:

ა) ცხოველების რაოდენობის დადგენა, თითოეულ მათგანზე ინფორმაციის აღრიცხვა, მათი მეპატრონეებისა და მიმკედლებლების დადგენა და რეგისტრაცია;

ბ) მეპატრონის მიერ ცხოველის მიტოვების პრევენცია;

გ) უმეთვალყურეო ცხოველის მეპატრონის ან მიმკედლებლის დადგენა.

3. მონაცემთა ერთიან ბაზაში შეიტანება იდენტიფიცირებული ცხოველის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

ა) ცხოველის სახეობა, ჯიში, სქესი, დაბადების თარიღი, სახელი, გარეგნობის აღწერა, შეფერილობა, მიკროჩიპი ან საყურე ნიშნის (საჭდე) ნომერი;

ბ) სტერილიზაცია/კასტრაციის შესახებ;

გ) ვაქცინაციის შესახებ;

დ) მეპატრონე/მიმკედლებელი ფიზიკური პირის: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, საცხოვრებელი მისამართი, ხოლო მეპატრონე/მიმკედლებელი იურიდიული პირის შემთხვევაში - სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი, საკონტაქტო ინფორმაცია;

ე) სანაშენე და საგამოფენო ცხოველისა და სასამსახურო ძაღლის აღნიშვნის თაობაზე;

ვ) იდენტიფიკაცია-რეგისტრაციასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა აუცილებელი მონაცემების შესახებ.

4. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო, ვეტერინარული— დაწესებულება, თავშესაფარი და საშენი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტოსგან მიღებული მონაცემთა ერთიან ბაზაზე წვდომის საფუძველზე ახორციელებს ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას.

5. შინაურ ბინადარ ცხოველთა დროებითი მოთავსების ობიექტი (სასტუმრო), კინოლოგიური და ფელინოლოგიური დაწესებულება, რეალიზატორი და ცხოველთა მოვლისა და ჰიგიენური მომსახურების (გრუმინგი) ობიექტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტოსგან მიღებული მონაცემთა ერთიან ბაზაზე წვდომის საფუძველზე ამოწმებენ ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციას.

6. უპატრონო/მიკედლებული ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის უზრუნველყოფის ვალდებულება აქვს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს.

7. ცხოველის მეპატრონის/მიმკედლებლის ცვლილების შემთხვევაში, ახალი მეპატრონის/მიმკედლებლის რეგისტრაციის მიზნით სავალდებულოა ცვლილების შეტანა მონაცემთა ერთიან ბაზაში.

8. მიკროჩიპის ან საყურე ნიშნის (საჭდე) დაკარგვის/დაზიანების შემთხვევაში, მეპატრონე/მიმკედლებელი ვალდებულია მიმართოს მარეგისტრირებელ ორგანოს ცხოველის განმეორებითი იდენტიფიკაციისათვის.

მუხლი 17. პატრონიან ცხოველთა მოშენება და პოპულაციის მართვა

1. ცხოველთა პოპულაციის მართვის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტერილიზაცია/კასტრაციის წესისა და ვადების შესაბამისად, ცხოველი ექვემდებარება სავალდებულო სტერილიზაცია/კასტრაციას, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. სანაშენე ცხოველის მოშენება დასაშვებია საშენის მიერ ან არაკომერციული მიზნით, მეპატრონის მიერ, ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოშენების წესისა და ვადების შესაბამისად.

3. ცხოველის მიზნობრივი და გეგმაზომიერი მოშენების უზრუნველსაყოფად აკრძალულია:

ა) პოტენციურად მომეტებული რისკის ძაღლის გამრავლება;

ბ) ნარევი (მეტისი) ცხოველის გამრავლება;

გ) იმ ცხოველის გამრავლება, რომელიც არ არის იდენტიფიცირებული და რეგისტრირებული მონაცემთა ერთიან ბაზაში;

დ) გარეული ცხოველის შეჯვარება შინაურ ბინადარ ცხოველთან.

4. სანაშენე ცხოველის გამრავლებაზე თანხმობა გაიცემა მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ, ვეტერინარული დაწესებულების მიერ გაცემული ჯანმრთელობის ცნობისა და კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულების მიერ გაცემული ჯიშიანობისა და მოშენებაზე ვარგისიანობის შესახებ ცნობების საფუძველზე.

5. საშენი სანაშენე ცხოველის მოშენებას ახორციელებს ამ კანონის მე-13 მუხლით დადგენილი წესითა და პირობებით რეგისტრაციის საფუძველზე.

6. მეპატრონეზე სანაშენე ცხოველის გამრავლების შესაბამისი თანხმობა მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაიცემა ერთჯერადად, 2 წლის ვადით, ერთ წლამდე ვადით გაგრძელების უფლებით.

7. მეპატრონის მიერ სანაშენე ცხოველის გამრავლების შედეგად მიღებული ნაყარის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია ხორციელდება ამ კანონის მე-16 მუხლით დადგენილი წესით.

8. მეპატრონის მიერ გამრავლებული სანაშენე ცხოველი ექვემდებარება სტერილიზაცია/კასტრაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადაში.

9. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი აკრძალვების გარდა, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია გამოაცხადოს მორატორიუმი ცხოველის დროებით შემოყვანასა და იმპორტზე ან/და მოშენებაზე.

10. ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტერილიზაცია-კასტრაციის ვალდებულება არ ვრცელდება საგამოფენო ცხოველზე, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამის სახეობრივ/ინდივიდუალურ და ჯიშობრივ მახასიათებლებს და განკუთვნილია ცხოველის გამოფენაში (კონკურსში) მონაწილეობისათვის.

11. ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტერილიზაცია/კასტრაციის ვადის დადგომამდე, მეპატრონე ვალდებულია მიმართოს მარეგისტრირებელ ორგანოს მონაცემთა ერთიან ბაზაში საგამოფენო ძაღლის აღნიშვნის მიზნით.

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი რეგისტრაციიდან 2 წლის ვადაში, თუ მეპატრონე ვერ მოიპოვებს ცხოველის გამოფენაში მონაწილეობის დამადასტურებელ სერტიფიკატს, იგი ვალდებულია მიმართოს მარეგისტრირებელ ორგანოს მონაცემთა ერთიან ბაზაში ცვლილების შეტანის მიზნით.

13. ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგამოფენო ცხოველისათვის ასეთი სტატუსის მოხსნის შემდგომ, ცხოველი ექვემდებარება სტერილიზაცია/კასტრაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადაში.

14. ამ მუხლის 1-ელი-მე-13 პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება სასამსახურო ძაღლზე.

15. სასამსახურო ძაღლის განკარგვის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 18. უპატრონო/მიკედლებული ცხოველების პოპულაციის მართვა

1. უპატრონო/მიკედლებული ცხოველების კეთილდღეობისა და პოპულაციის მართვის მიზნით, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო უზრუნველყოფს უპატრონო/მიკედლებული ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას, სტერილიზაცია/კასტრაციასა და ანტირაბიულ ვაქცინაციას.

2. პოპულაციის მართვის უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია განახორციელოს უმეთვალყურეო/უპატრონო/მიკედლებული:

ა) ძაღლის ჰუმანური მეთოდით დაჭერა და იზოლაცია;

ბ) ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ერთიან ბაზაში გადამოწმება;

გ) ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის (ვეტერინარული მომსახურება) და ქცევითი თავისებურებების დადგენა;

დ) ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია;

ე) ცხოველის სტერილიზაცია/კასტრაცია, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა აღნიშნულის შესაძლებლობას იძლევა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ) ცხოველის პოსტოპერაციული რეაბილიტაცია;

ზ) ცხოველის ანტირაბიული ვაქცინაცია;

თ) საჭიროების შემთხვევაში ცხოველის დეჰელმინთიზაცია ან/და კომპლექსური ვაქცინაცია.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მეძუძური ძაღლის დაჭერა დასაშვებია მხოლოდ ნაყართან ერთად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეძუძურ ძაღლს ესაჭიროება გადაუდებელი ვეტერინარული მომსახურება.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროცედურის განხორციელების შემდეგ, ცხოველს დაუყოვნებლივ უნდა გაეწიოს ვეტერინარული მომსახურება.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფუძველზე, ვეტერინარის გადაწყვეტილებით, ცხოველი შესაძლოა განთავსდეს კარანტინში/იზოლაციაში.

6. ცხოველის მიერ სხვა ცხოველის ან ადამიანის დაკბენის/დადორბვლის/დაკაწვრის შემთხვევაში, ცხოველი უნდა განთავსდეს კარანტინში/იზოლაციაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელების შემდეგ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია განახორციელოს მეპატრონის/მიმკედლებლის მოსაძიებლად აუცილებელი ღონისძიებები (მათ შორის, ცხოველის ფოტოსურათისა და მის შესახებ დეტალური ინფორმაციის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს ვებ-გვერდსა ან/და სოციალურ ქსელებში განთავსება), ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, დაარეგისტრიროს ცხოველი, როგორც უპატრონო ამ კანონის მე-16 მუხლით დადგენილი წესით.

8. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია იყოს აქტიურ კომუნიკაციასა და კოორდინაციაში სააგენტოსთან, მათ შორის, სადეზინფექციო ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა ღონისძიებების ჩატარების გზით, ცოფის ან სხვა ზოონოზური დაავადებების გავრცელების თავიდან ასარიდებლად.

მუხლი 19. ცხოველთა მიმართ არასათანადო და სასტიკი მოპყრობა

1. დაუშვებელია ცხოველისადმი არასათანადო ან სასტიკი მოპყრობა ან ასეთი ქმედების ხელშეწყობა, მათ შორის:

ა) ცხოველის ცემა;

ბ) ცხოველის მუდმივ დაბმულ მდგომარეობაში ყოლა;

გ) ცხოველის ისეთი ფიზიკური დატვირთვა, რაც იწვევს მის ტანჯვას;

დ) ცხოველის მოწოდება აგრესიისკენ ან/და წახალისება სხვა ცხოველის ან/და ადამიანის ჯანმრთელობის ან/და სიცოცხლის საწინააღმდეგოდ;

ე) არასამკურნალო მიზნით ან ფუნქციური დანიშნულების გარეშე ამ კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის „ა-ვ“ ქვეპუნქტებით განსზღვრული ვეტერინარული ოპერაციების ჩატარება;

ვ) ცხოველისათვის ჭრილობის მიყენება, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანება~~,~~ (მათ შორის, ავტოსაგზაო შემთხვევისას), რომელიც სახიფათოა სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობისათვის;

ზ) ცხოველის გამოყენება სამეცნიერო ექსპერიმენტისთვის და მასზე ლაბორატორიული ცდების ჩატარება, გარდა ,,ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონით'' გათვალისწინებული შემთხვევებისა;

თ) ცხოველთა ორთაბრძოლის ორგანიზება, ჩატარება და ორთაბრძოლისათვის ადგილის გადაცემა;

ი) სხვა ქმედება, რომელიც იწვევს ცხოველის ტანჯვას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა არ ვრცელდება სასამსახურო ძაღლზე.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებით.

მუხლი 20. პატრონიანი ცხოველის გადაადგილების ზოგადი მოთხოვნები

1. ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და ადამიანისა და ცხოველის თანაარსებობის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, ცხოველის გადაადგილება, მათ შორის, გასეირნება, მგზავრობა და ღონისძიებებში გამოყენება უნდა განხორციელდეს ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ძაღლის გასეირნება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მათ შორის, ბულვარში, პარკში ან სკვერში (გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა) დასაშვებია მხოლოდ საბლის ან ალიკაპის გამოყენებით, გარდა ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

3. აკრძალულია ცხოველის შეყვანა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლესი საგანმანათლებლო და პროფესიული

საგანმანათლებლო დაწესებულების შენობებში (გარდა საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის შემთხვევისა), საავადმყოფოში, გარდა ასისტენტი ძაღლისა, აგრეთვე კატისა და მცირე ზომის ძაღლისა, რომელთა შეყვანა დასაშვებია ხელში აყვანით ან სპეციალური გადამყვანის (კონტეინერის, ჩანთის) მეშვეობით.

4. ცხოველთან ერთად მგზავრობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში დასაშვებია საბლის ან ალიკაპის გამოყენებით, ხოლო კატისა და მცირე ზომის ძაღლის შემთხვევაში, ასევე - ხელში აყვანით ან სპეციალური გადამყვანის (კონტეინერის, ჩანთის) მეშვეობით.

5. ცხოველის გამოყენება სპორტულ, კულტურულ ან გასართობ ღონისძიებაში დასაშვებია ცხოველის სახეობრივი/ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მ~~ან~~ისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

6. ცხოველის მონაწილეობით სპორტული, კულტურული ან გასართობი ღონისძიების ჩატარება საზოგადოებრივ სივრცეებში ნებადართულია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ~~ი~~ ორგანოსთან წინასწარ შეთანხმებულ ტერიტორიაზე.

7. ცხოველის დაშვების ამკრძალავი ნიშნის განთავსების შემთხვევაში პირი ვალდებულია, მიმდებარე ტერიტორიაზე განათავსოს ცხოველის მისაბმელი.

8. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ~~ან აღმასრულებელი~~ ორგანო უფლებამოსილია შინაურ ბინადარ ცხოველთა მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესებით დამატებით განსაზღვროს:

ა) ადგილები, სადაც არ დაიშვება ძაღლის ყოფნა;

ბ) სპეციალურად გამოყოფილი ადგილები, სადაც დასაშვებია ძაღლის გასეირნება საბლის გარეშე;

გ) ცხოველის გასეირნების, მგზავრობის და ღონისძიებებში გამოყენების განსხვავებული წესი (მათ შორის, ალიკაპის გამოყენების წესი).

9. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება სასამსახურო ძაღლზე.

მუხლი 21. ცხოველთა ევთანაზია

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აკრძალულია ცხოველის ევთანაზია არაჰუმანური მეთოდებით.

2. ცხოველის ევთანაზია უნდა განხორციელდეს ცხოველისთვის ფიზიკური ტკივილისა და ტანჯვის მიყენების გარეშე, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებებით ან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებებით.

3. ცხოველის ევთანაზია უნდა განხორციელდეს მხოლოდ უფლებამოსილი პირის - ვეტერინარის ან მისი ზედამხედველობით, ვეტერინარი ტექნიკოსის მიერ, ვეტერინარის დასკვნის საფუძველზე, რომელიც ეფუძნება შესაბამის კვლევებს ან/და ვეტერინარულ დაკვირვებას.

4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ცხოველის ევთანაზიის საფუძველი შეიძლება იყოს ცხოველის:

ა) არაკორექტირებადი აგრესიული ქცევა, რომელიც არ იძლევა სხვა ცხოველთან ან/და ადამიანთან მისი თანაარსებობის საშუალებას, მათ შორის, იდიოპათიური აგრესია (მყისიერი სიბრაზის სინდრომი) და დაკბენა, რაც არ არის პროვოცირებული ცხოველისადმი აგრესიით ან არასათანადო მოპყრობით;

ბ) სრული დამბლა, პარეზი ან/და სხვა განუკურნებელი დაავადება;

გ) ცოფით დაინფიცირებაზე/დაავადებაზე საეჭვო შემთხვევა, მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობების საფუძველზე;

დ) ისეთი ინფექცია, რომელიც განსაკუთრებით საშიშია ადამიანის ან/და ცხოველის ჯანმრთელობისათვის;

ე) ისეთი ტრავმა ან/და დაზიანება, რომელიც სიცოცხლესთან შეუთავსებელია;

ვ) შეუქცევადი დაუძლურება;

ზ) სიცოცხლესთან შეუთავსებელი თანდაყოლილი ნაკლი.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებების დადგენისთვის, გარდა ვეტერინარის დასკვნისა, აუცილებელია დასკვნა კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულებიდან.

6. ცხოველის ევთანაზიის პროცედურის შემდეგ, ვეტერინარი უნდა დარწმუნდეს, რომ ცხოველი მკვდარია, რის შემდგომაც დასაშვებია მისი ლეშის განკარგვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ევთანაზიის შემდგომ დასაშვებია ცხოველის პათანატომიური გამოკვლევა.

მუხლი 22. ამ კანონთან დაკავშირებით მისაღები (გამოსაცემი) სამართლებრივი აქტები

2026 წლის პირველ მარტამდე საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს შემდეგი სამართლებრივი აქტების დამტკიცება:

ა) შინაურ ბინადარ ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის წესისა და ვადების და მონაცემთა ერთიანი ბაზის მართვის წესი;

ბ) ტექნიკური რეგლამენტი შინაურ ბინადარ ცხოველთა სტერილიზაცია/კასტრაციისა და მოშენების წესებისა და ვადების შესახებ.

მუხლი 23. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული გარდამავალი დებულებები

1. 2026 წლის პირველ მარტამდე, საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს:

ა) „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" დადგენილების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა;

ბ) „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორებისა და აგრარული ბაზრების/ბაზრობების, სადაც ხორციელდება ცოცხალი ცხოველის

რეალიზაცია, ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

2. შინაურ ბინადარ ცხოველთა პოპულაციის მართვის ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, 2026 წლის პირველ თებერვლამდე, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტებთან კოორდინაციით შეიმუშაოს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს შემდეგი სამართლებრივი აქტები:

ა) ჰიპერპოპულაციის მართვის მიზნით ძაღლების მოშენებაზე მორატორიუმის შესახებ;

ბ) ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის რეგულირების დროებითი წესის (პროგრამის) შესახებ.

3. საქართველოს მთავრობამ 2026 წლის პირველ მარტამდე დაამტკიცოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტები.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის რეგულირების დროებითი წესით, სულ მცირე, უნდა განისაზღვროს:

ა) უპატრონო/მიკედლებული ძაღლის საყოველთაო იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, სტერილიზაცია/კასტრაციისა და ანტირაბიული ვაქცინაციის ღონისძიებები მთელი ქვეყნის მასშტაბით;

ბ) მუნიციპალიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი მხარდაჭერის ღონისძიებები შესაბამისი მუნიციპალიტეტის სოფლად მცხოვრები მეპატრონეთათვის;

გ) უპატრონო/მიკედლებული ძაღლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, სტერილიზაცია/კასტრაციისა და ანტირაბიული ვაქცინაციის მიზნით, ძაღლის ვეტერინარული მომსახურების შესყიდვისა და მიწოდების გეგმა ყველა მუნიციპალიტეტის მიხედვით, ასევე, მუნიციპალიტეტების მხრიდან დროებითი წესის განსახორციელებლად, აუცილებელი ღონისძიებები.

5. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის რეგულირების დროებითი წესით განსაზღვრული და საჭიროების შემთხვევაში, ამ კანონით განსაზღვრული პოპულაციის მართვის ღონისძიებების აღსრულებასთან დაკავშირებული თანხების გათვალისწინება შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებებისათვის საშუალოვადიან პერიოდში ასიგნებების ზღვრული მოცულობების განსაზღვრისას („ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში“) და შესაბამისი წლის „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავებისას.

6. 2026 წლის პირველ მარტამდე, მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ შინაურ ბინადარ ცხოველთა მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესების დამტკიცება ან ასეთის არსებობის შემთხვევაში, ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

7. 2027 წლის პირველ იანვრამდე, ცხოველის მეპატრონემ უზრუნველყოს ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია ამ კანონით დადგენილი წესით.

8. 2027 წლის პირველ იანვრამდე, ცხოველთა მეპატრონეები, რომელთაც უკვე იდენტიფიცირებული (დაჩიპული) ჰყავთ ცხოველები, მიმართონ მარეგისტრირებელ ორგანოს მონაცემთა ერთიან ბაზაში ცხოველის რეგისტრაციის მიზნით.

9. 2027 წლის პირველ იანვრამდე, ცხოველთა მიმკედლებლები, რომელთაც უკვე იდენტიფიცირებული ჰყავთ ცხოველები, მიმართონ მარეგისტრირებელ ორგანოს მონაცემთა ერთიან ბაზაში ცხოველის რეგისტრაციის მიზნით.

10. 2027 წლის პირველ იანვრამდე, მეპატრონე, რომლის ცხოველიც სტერილიზებული ან კასტრირებულია ამ კანონის ამოქმედებამდე, ვალდებულია მიმართოს მარეგისტრირებელ ორგანოს ცხოველის სტერილიზაცია/კასტრაციის შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ერთიან ბაზაში შეტანის მიზნით.

11. მეპატრონის მიმართ, რომელსაც 2027 წლის პირველ იანვრამდე რეგისტრირებული ჰყავს ცხოველი, არ ვრცელდება ამ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულება.

12. მეპატრონის მიმართ, რომელსაც 2027 წლის პირველ იანვრამდე რეგისტრირებული ჰყავს ამ კანონით განსაზღვრული პოტენციურად მომეტებული რისკის ძაღლი, არ გავრცელდება ამ კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი მოთხოვნა.

13. ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული საშენი ვალდებულია, 2027 წლის პირველ იანვრამდე გაიაროს ამ კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი რეგისტრაცია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოში.

14. 2026 წლის პირველ მაისამდე, ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო, ვეტერინარული დაწესებულება, შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარი და საშენი ვალდებულნი არიან მიმართონ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სურსათის ეროვნულ სააგენტოს იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის მონაცემთა ერთიან ბაზაზე წვდომისათვის, ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების სრულყოფილად განხორციელების მიზნით.

15. 2026 წლის პირველ მაისამდე, ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული შინაურ ბინადარ ცხოველთა დროებითი მოთავსების ობიექტი (სასტუმრო), კინოლოგიური და ფელინოლოგიური დაწესებულება, შინაურ ბინადარ ცხოველთა რეალიზატორი და ცხოველთა მოვლისა და ჰიგიენური მომსახურების (გრუმინგი) ობიექტი ვალდებულნი არიან მიმართონ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სურსათის ეროვნულ სააგენტოს იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის მონაცემთა ერთიან ბაზაზე წვდომისათვის, რეგისტრაციისა და ცვლილების შეტანის უფლების გარეშე, ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების სრულყოფილად განხორციელების მიზნით.

16. 2026 წლის პირველ ივლისამდე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო

სამართლის იურიდიულმა პირმა - სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ამ მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტებით განსაზღვრული მიმართვის საფუძველზე უზრუნველყოს:

ა) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს, ვეტერინარული დაწესებულების, შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრისა და საშენის წვდომა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის მონაცემთა ერთიან ბაზაზე;

ბ) შინაურ ბინადარ ცხოველთა დროებითი მოთავსების ობიექტის (სასტუმრო), კინოლოგიური და ფელინოლოგიური დაწესებულების, შინაურ ბინადარ ცხოველთა რეალიზატორისა და ცხოველთა მოვლისა და ჰიგიენური მომსახურების (გრუმინგი) ობიექტის წვდომა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის მონაცემთა ერთიან ბაზაზე რეგისტრაციისა და ცვლილების შეტანის უფლების გარეშე.

17. 2027 წლის პირველ ივლისამდე, საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს კინოლოგის/ფელინოლოგის სერტიფიცირების წესის დამტკიცება.

18. 2028 წლის პირველ ივლისამდე, ფიზიკური პირები, რომლებიც საქმიანობენ ცხოველის მოვლა-პატრონობის, მოშენების, წვრთნის, სოციალიზაციისა და ქცევის კორექციის მიმართულებით, ვალდებულნი არიან გაიარონ სერტიფიცირებული კინოლოგის/ფელინოლოგის პროფესიული პროგრამა ან/და მიმართონ შესაბამის ორგანოს არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 24. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის 1-ელი-21-ე მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის 1-ელი-მე-4 მუხლები, მე-7 მუხლის 1-ელი პუნქტის „ზ“, „ი“-„ნ“ ქვეპუნქტები, მე-2 პუნქტი, მე-8 მუხლის 1-ელი პუნქტი, მე-4-მე-5 პუნქტები, მე-6 პუნქტის „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები, მე-9 მუხლის 1-ელი და მე-3 პუნქტები, მე-10 მუხლის 1-ელი-მე-4 და მე-11-მე-14 პუნქტები, მე-11 მუხლის 1-ელი-მე-3, მე-8 და მე-11-მე-13 პუნქტები, მე-12 მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტები, მე-14 მუხლის 1-ელი პუნქტი, მე-5-მე-6 და მე-8 პუნქტები, მე-15 მუხლის 1-ელი პუნქტი და მე-5-მე-6 პუნქტები, მე-19 მუხლი, მე-20 მუხლის მე-8 პუნქტი და 21-ე მუხლი ამოქმედდეს 2026 წლის 1-ელი იანვრიდან.

3. ამ კანონის მე-5 და მე-6 მუხლები, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ვ“ და „თ“ ქვეპუნქტები და მე-3-მე-5 პუნქტები, მე-8 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, მე-6 პუნქტის „ა”, „გ”, „ვ“-„თ” ქვეპუნქტები და მე-7 პუნქტი, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-10 მუხლის მე-5-მე-10 პუნქტები, მე-11 მუხლის მე-4-მე-7 და მე-9-მე-10 პუნქტები, მე-12 მუხლის მე-3-მე-6 პუნქტები, მე-13 მუხლის 1-ელი-მე-4 პუნქტები, მე-5 პუნქტის „ბ“-„კ“ ქვეპუნქტები და მე-6-მე-8 პუნქტები, მე-14 მუხლის მე-3-მე-4, მე-7 და მე-9 პუნქტები, მე-15 მუხლის მე-2-მე-4 პუნქტები, მე-16-მე-18 მუხლები და მე-20 მუხლის პირველი-მე-7 პუნქტები და მე-9 პუნქტი ამოქმედდეს 2026 წლის პირველი ივლისიდან.

4. ამ კანონის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2028 წლის პირველი ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**